



ବୁଦ୍ଧିମତୀ

SHIRAKI

www.open.ge

Տարբերակ 1937 թվական

Nº43 (9.708)

21-28 លោកអនុញ្ញាត 2015 ខែមីនា

ଓঁ শশোগু

ყოველკვირაული გაცემა

თანამედროვე სპორტული მოძარი და განარეპული ახალგაზრდობა



დევ ერთხელ, უშუალოდ მათ-
გან მოისმინა.

გამორჩეული და მოულოდ-
ნელი შეხვედრა შედგა გამგე-
ბელსა და პატარა სპორტსმე-
ნებს შორის ახალ სპორტულ
მოედანზე სოფელ ქვემ
ქაშში. სათავაზ ბატუბი თეხ-
თამაშსაც ვახერხებთ. ბურთ
არ გვივარგა, გაცვეთილის. გა
მგებელი გვესტუმრა და დაინა-
ხა, დაგვიპირდა, რომ საჩუქრად
ორ ბურთს გამოგიგზავნითო,
- ამონჭა მოტივო.

განხორციელდა. სწორედ ამიტომ, ადგილობრივი ბიუჯეტი დან სტადიონისთვის თანხის დამატება გახდა საჭირო.
„ამ სოფელში ბევრი კარგი რამ გაკეთდა, მაგრამ ჩემი აზრით, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ახალი სტადიონია, რომელიც ახლაბან დასრულდა. ძალიან კარგი ადგილი შეიძრა ამისთვის, ირგვლივ ნაძვების ხეივანია გაშენებული და საუკეთესო გარემოა შექმნილი საიმისოდ, რომ ახალგაზრდობა მოვიდეს, დაისცენოს და ცხოვრების ჯანსაღ ხესით იცხოვროს. ვფიქრობ, ქვემო ქედში ეს სტადიონი ახალგაზრდებისთვის და, არა მარტო მათთვის, საუკეთესო თავშეყრის ადგილი გახდება. დღეს ვესტუმრეთ, რომ პირადად გვენახა რამდენად კმაყოფილია მოსახლეობა ამ სიახლით,“ - აღნიშნა ნიკოლოზ ჯანიძაშვილება.

ინგან გიორგავილი

ტერორიზმი - გუდივი საფრთხეა ცვალებადი მიზნებით

“ისლამურმა სახელმწიფომ”
 პარიზში განხორციელებულ
 ტერორისტთა ჯგუფის მიერ და არაული-
 ნოვანი განცხადებების მიხედ-
 ვით, თავდასხების აასუხი იყო
 მინასახარებულკო მუჰამედის
 შეურაცხყოფაზე და საფრან-
 გეთის მხრიდან “ისლამური
 სახელმწიფოს” მინაღმდებ
 განხორციელებულ საჰაერო
 დარტყმითაზე. გაცხადებაში
 პარიზი პროსტიტუციის, უხამ-
 სობისა და ევროპის პევროს-
 ცელი მოძრაობის დედაქადა-
 ლად არის მოსსანიერული.
 ფრანგულენოვან განცხადება-
 ში ნათევამის, რომ მათი მიზა-
 ნი იყო “მინიმუმ 200 გვამი.”

განცხადებაში თავდასხმები
შემდეგნაირად არის აღნერილი:
“ასაფეროქებულ ქამრებში გახ-
ვეულმა 8 მამ მიზანში ამოი-
ლო საფრანგეთის დედაქალაქის
გულში სპეციალურად შერჩეუ-
ლი ათვეობის, მათ შორის სტა-

დიონი, სადაც იმართებოდა გერ-
მანელი და ფრანგი ჯვაროსნული
გუნდების თამაში და ფრანსუა
ოლანდია იმყოფებოდა.”

“ისლამური სახელმწიფო”
იმუქრება, რომ საფრანგეთი
მთავარ სამიზნედ დარჩება, სა-
ნამ ის არ შეწყვეტს მუსლიმების
წინააღმდეგ ჯვაროსნულ კამპა-
ნიას, თავდასხმები კი მხოლოდ
შესავალია იმ შტრომისა, რაც
გაფრთხილებების გაუთვალისწი-
ნებლობის შემთხვევაში მოხდება:

დაუ, იცოდეს საკრიზისა და
მათ, ვინტ პარიზის ქუჩებში და-
დის, რომ ისინი დარჩებიან „ის-
ლამური სახელმწიფოს“ მთავარ
სამიზნედ და სიკვდილის სური
არ მიატოვებს მათ, სანამ არ
შეწყვეტენ ჯვაროსასულ კამპა-
ნიას.. .

ხალიფათის მინაზე მუსლი-
ნების თინააღმდეგ გამოყენე-
ბული თვითმფრინავები, ვინ
დაეხმარება გათ პარიზის ჟუ-
რისგზი.”

საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ლოანდმა აღნიშნული თავდასხმები საომარ ქმედებად შეაფასა, რომელიც ორგანიზებული და დაგეგმილი იყო ქვეყნის გარედან. ლოანდის თქმით, საფრანგეთი „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ ჩადენილ ამ „ბარბაროსულ“ ქმედებებს დაუნდობლად და შეუბრალებლად უკასუებს როგორც საბმობლოში, ასევე ნებისმიერ სხვა ტერიტორიაზე“.

საფრანგეთის მხარდამჭერი
საპროტესტო აქციები იმართება
მთელ მსოფლიოში. ნიუ-იორკში
ათასობით ამერიკელი შეიკრიბა
ლოზუნგით “ნიუ-იორკი პარი-
ზია”. საფრანგეთის და ფრანგი
ხალხის მხარდასაჭერად მსო-
ფლიოს უდიდესი ქალაქების
მთავარი შენობები ფრთხული
დროშის ფერებში განათდა.



გამოყოფილი რომელიმე ტერაქტი, როგორც უმთავრესი, თუმცა ფაქტია, რომ 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ ტერორიზმთან ბრძოლა ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად მიიჩნევა. მას შემდეგ ტერორიზმის საფრთხე სულ უფრო მატულობს და ბოლო დროს განვითარებული მოვლენების (უპირველესად, ისლამური ხალიდაზის შექმნა) შემდეგ კრიტიკულ ნიშნულს გადააბიჯა. შეიძლება თამაბად ითქვას, რომ ტერორიზმის მსახურალი ხელი დღეს პრაქტიკულად ყველა ქვეყანას სწვდება და ბოლომდე დაცულად თავს ვერცერთ ქვეყანაში ვერ გრძნობენ. მიუხედავად მანამდე განხორციელებული უამრავი შემზარავი ტერორისტული აქტისა, 2001 წლს მსოფლიო

(សេចក្តីថ្លែងក្នុង ៣)

A photograph showing three children (two girls and one boy) sitting at a blue table, focused on playing with colorful plastic building blocks. The girl on the left wears a pink sweater, the girl in the middle wears a red sweater, and the boy on the right wears a dark jacket over a red shirt. In the background, there are large, colorful paper butterflies and flowers hanging on the wall.

„მეიჯარეებს 2014 წლის 1 იანვარშიდე სასოფლო- სამეურნეო მიწებზე გადაუხდელი თანხები ეპატიებათ“

A close-up photograph of a brown mouse with a white belly, positioned on a solid yellow background. The mouse is facing towards the right side of the frame.

ტერორიზმი - გალოვნის საფრთხე



(პირველი გვერდიდან)

თავდასხმებს. ამ სტატიაში ვეც-
დებით, თვალი მივადევნოთ ტე-
რორიზმის ისტორიის რამდენიმე
სასტიკ, თუმცა ამავდროულად
ძალზე საინტერესო გარდამტეს
მომენტს. ფაქტია, რომ ეს პირქუ-
ში ფერმენტი დროის განმავლო-
ბაში გამუდმებით იცვლებოდა,
სულ უფრო მრავალფეროვანი
ხდებოდა, ზრდიდა მოქმედების
არეალს და მასშტაბებს, იცვლე-
ბოდა მეთოდები და მიზნები.
ტერორიზმი და ტერორისტები
წარმოადგენენ სამხედრო ექს-
პერტების, ისტორიკოსების,
ფიქტოროგების კვლევის საგნენს.
“

„ტერორიზმი“ სრულყდა 1793-1794 წლებში საფრანგეთის დიდი რევოლუციის დაპირის დამაკიდრდა. კორპორაცია მასში მიღების როგორივი მმართველობის ფორმიდან (1793-1794 წლებში) რევოლუციის პიმდებ (1798 წლის გამოცემულ დიდ ფრანგულ ლექსიკონი იგი განიხილა როგორც პოლიტიკური მმართველობის ერთ-ერთი ფორმა, როცა დაცემის მმართველობა ხელი-საფლავის შესანარჩუნევდა და ძალადობრივი მითოლებით უაირისაირდება პოლიტიკურ მოვნებებს. მაგალითად მოყვანილი იყო რობერსპიერის ხანმოკლე, მაგრამ უზარმაზარი მნიშვნელობის სისხლიანი მმართველობა, რომლის დროსაც იგი სასტიკად უსწორდებოდა რევოლუციის მტრებს. ენციკლოპედიასტები ერთგვარად დასაშვებად მიიჩნევდნენ ძალადობას დრომოქმული მონარქიული სახელმწიფოდან ლიბერალურ

მიზეზი საომარი ტექნოლოგიების განვითარებაა, რომელმაც განუზომლად გაზარდა ტერო-რიზმის პოტენციური საფრთხე.

„ასაფეოთქვებელ ქან
ძმამ მიზანში ამო
დედაქალ

ტერორიზმი თავისი ძირი-
თადი ფორმით მაშინ გაჩნდა,
როდესაც ადამიანების მოღვაწეს
სურვილი გაუჩნდათ, უხეში ძა-
ლის გამოყენებით მოეხდინათ
გავლენა პოლიტიკურ მოვლე-
ნებზე. ზეალოზეგი ჩვ.ცალ-ის
პირველ საუკუნეები იუდეაში
იათაკვავ მოქმედი ეპრაულო
დაკავუფება იყო, რომელიც
მონინალდებოდას მავლე-
ლოგების გზით იშროებდა თა-
ვიძან. ამი მონინალდებოდას
კი რომაელების საუკუნეოი
რეიგიონა თანამდებობაში
მყოფი ეპრაული კოლაპორა-
ციონისტები წარმოადგენერა,
რომელიც პატიოტიზას რო-
მაული მასროვალების თინა-
ალდეგ პრძმლაში უპლიდენ
ხდის. ზეალოტების მოტივი იუ-
დაიზმის კანონების უკომპრო-
მისო რჩმენა იყო, რაც გამო-
რიცხავდა რომაული კანონებით
ცხოვრებას. საბოლოოდ ზეა-
ლოტები განადგურებულ იქნენ,
ხოლო გადარჩენილმა წევრებმა
თვითმკვლელობით დაამთავრეს
(ცხოვრება).

ათასი წლის შემდეგ მსგავსის
საქმიანობით მთელ მსოფლიო-
ში გაითქვეს სახელი ასასინებრ-
შა. ისინი შიგითურ ისლამს გა-
მოყოფილი ჯგუფები იყვნენ,
რომელიც სამოქალაქო ტე-
ქილებისად თავიანთი მთრიგის
ლიტერატურის ეკვლეოლგაბის
კირჩის. მათი არჩევნილია
საკამარო ლოგიკური იყო. ყაუ-
სინების მოსაზრებით, ლიტე-
რაგის გავლეონობას ჰიპოლი-
თავიდან აცილებინა გაზია-
რერებული სისხლისმღვრელი
ომები. საინტერესო იყო მათი
მოქმედების ტაქტიკა, ხშირად
ასასინი მკვლელი შეგნებულად
რჩებოდა მკვლელობის ადგი-
ლას, რითაც საკუთარ სიცო-
ცხლეს სწირავდა. ასასინების
ხელნერა იყო აგრძეთვე შანტაჟი
- მუქარის შემცველი წერილები
გარკვეული მოთხოვნებით, რო-
მელიც ხშირად აბაროლებდა,
რადგანაც ასასინებს თავიანთი
მუქარის ასრულება შეეძლოთ
ასასინები ირანსა და სირიში
მოქმედებდნენ. ისინი არა მარ-
ტო კუათონინ თავიანთ მონინა-

ცვალებალი მიზნებით

აღმდეგებს, არამედ საოცარი მოხერხებულიპით აკეთებდნენ ამას. ძლიერების ზენიტში ყოფნისას მათთვის პრაქტიკულად არ არსებობდა „შეუსრულებელი მისია”, ანუ ისეთი პოლიტიკური ლიდერი, რომელთა თავიდან მოშორებაც მათ არ შეეძლოთ. ინგანდოგლიცისა, რომ სტრიქ ასასინებისგან მომდინარეობს ინგლისური სიტყვა ასასასინს, რაც კვლელობას იშნავს. მიუხედავად იმისა, რომ ზეალო-ტები და ასასინები შიშის ზარს სცემდნენ პოტენციურ მსხვერ-პლებს, ისინი არ იყვნენ თანა-მედროვე გაგებით ტერორისტები. მათი ტერორი კონკრეტული ადამიანების ძალზე ვინწრო წრისკენ იყო მიმართული და საზო-გადოებაში არ იწვევდა შიშის რული მმართველობის ფორმა და ტერორიზმის ელემენტების შერჩყმა ნაციონალიზმის მძღა-ვრ ტალღასთან. მეოცე საუკუ-ნის ტერორიზმის ისტორია მოი-ცავს სახელმწიფო იდეოლოგიის რანგში აყვანილ ტერორისტულ მმართველობებს. უპირველე-სად ეს კომუნისტურ საბჭოთა კავშირსა და ფაშისტურ გერ-მანიაზე ითქმის. სტალინისა და ჰიტლერის რეჟიმები, რომელთა იდეოლოგიურ ბაზისში ტერორი მტკიცებ იყო ჩაშენებული, სწო-რედ მისი მეშვეობით იმართებო-და. ამასთანავე რამდენიმე ძლიე-რი ტერორისტული დაჯგუფება შეიქმნა ნაციონალურ ნიადაგზე. ორმა მათგანმა: ირლანდიის რეს-პუბლიკურმა არმიამ და ეტა-მ (ბასკეთის დამოუკიდებლო-

რეპში გახვეულება 8
ღღღ საფრანგეთის
ესის გული“

აურის დამკვიდრებას, რის გა-
რეშეც თანამედროვე ტერორიზ-
მი ყოვლად ნარმოუდენებია.
თუმცა მათ თამამად შეგვიძლია
კუნძომოთ თანამედროვე ტერო-
რისტების „წინაპრები“, მათი ტა-
ქტიკა დღესაც საკმაოდ პოპუ-
ლარულია ტერორისტებს შორის,
ამასთანავე მათ უკვე ჰქონდათ
მაღალი მოტივაცია, მეცნიერების
სახელმწიფო მიზნები და
ამოცანები. მხოლოდ ის ფაქტი,
რომ მრავალი საუკუნის შემდეგ
ეს ორგანიზაციები ისევ კვლე-
ვის საგანს ნარმოადენები, იმა-
ზე მეტყველებს, რომ მათ თავის
დროზე დიდი ფსქოლოგიური

საზოგადოებაზე ზემოქ-
მედების მიზნით ტერორიზმი
პირველად სწორედ რუსეთში
მოქმედდა ანარქისტულმა ტე-
რორისტულმა ორგანიზაციამ
„ნაროდნაია ვოლიამ“ დანერგა.
იმის მიუხედავად, რომ ეს დაჯ-
გუფება ტერორისტულ აქტებს
კონკრეტული მაღალი თანამდე-
ბობის პირების მიმართ იყენებდა
(ყველაზე გახმაურებული გახდ-
დათ იმპერიატორ ალექსანდრე II-
სი მკვლელობა 1881 წელს), მათ
მიერ ყველას თვალწინ დღისით
მზისით ასაფეთქებელი ნივთიე-
რებებით განხორციელებული
აქტები სავსებით შესაძლებელს
ხდიდა უდანაშაულო ადამიანე-
ბის მსხვერპლს. თუმცა გასათვა-
ლისნინებელია ის გარემოებაც,
რომ „ნაროდნაია ვოლიას“ მიზა-
ნი არ იყო საზოგადოების დაში-
ნება, არამედ მისი დაწმუნება
ორგანიზაციის სიძლიერეში და
ძალისმიერი მეთოდებით მოქ-
მედების უტყუარობაში, რასაც
საზოგადოება მოგანიხილავს?
სიკურიტეის კაუი მათგან
გის მტკიცებით, 9/11-ის ერთ-
ერთი მთავარი აქტორი, პირველი
თვითმფრინავის პილოტი მუჰა-
მად ატტა დიდი რაოდენობით
მოიხმარდა ალკოჰოლს. მოგეხ-
სენებათ, ისლამი სასატიკად კრ-
ძალავს ალკოჰოლს. არმსტრონგი
მიიჩნევს, რომ ატტა და ბევრი
სხვა ისლამისტი ტერორისტი არა
მიზეზთა გამო მოძალადებად
ქცეული მართლმორწმუნებები,
არამედ მოძალადე ექსტრემისტე-
ბი არიან, რომლებიც თავიანთი
მიზნების შესაბამისად რელიგიუ-
რი საკითხებით მანიპულირებენ.
სამწუსაროდ, არავითარი
საბაბი არ გვაქვს გვჯეროდეს,
რომ მომავალში ტერორიზმის
საფრთხე ნაკლები იქნება. დიდი
ალბათობით ის ისევ გამრავალ-
ფეროვნდება ახალი სასტიკი
ელემენტებით და კიდევ მრავალ
უსიამოვნო სიურპრიზს შემო-
გვთავაზებს. რა ელის საქართვე-
ლოს? - აი კითხვა, რომელიც
დღეს ყველას გვანუხებს.
ისლამური სახილმიწილია”

ლია გავათილები სახავავო ეალიტი

გასულ კვირას რაიონის ორ საბავშვო ბაგა-ბაღში გახლდით ღია გაკვეთი-ლების მოსასმენად. პირველად სოფელ სამრეკლოს განახლებულ და რესტავრირებულ ბაღში მომინია სტუმრობა. გასულ წელს ამ შენობის პირველი სართული მთლიანად განახლდა. კარში შემოგვევება დირექტორი მაკა ზურაშვილი და ბაღის მცირე დარბაზში შეგვიძლვა, სადაც პედაგოგი ია გელაშვილი (ალმზრდელის თანაშემწე ეკატერინე ბერიას შვილი, ძირა ნატალია ჯავახიშვილი) ბაგის ჯგუფის აღსაზრდელებთან ერთად დაგვეხვდა. შემოდგომის ფერებით მორთულ და დოკლათით დახუნდლული დარბაზის შუაში ია მასწავლებელს ხე „დაურგავს“. ხეზე ძაფით ფერად-ფერადი ფოთლები დაუკიდია. პედაგოგი პატარებს აცნობს იმ ქვეყანას და სოფელს, სადაც ისინი ცხოვრობენ, აცნობს წელიწადის დროებს და უხსნის, რომ ამჯერად შემოდგომაა. პარალელურად ჩნდება კითხვები,

მოგვადგება, როდესაც დგება ჟამი,
„ადამიანებმა“ საკუთარ საკუშნაოებში
და თავლებში შენახულ სურსათ- სანო-
ვაგეს მოხსნან პირი, რათა დაპურონ,
როგორც საკუთარი თავი, ასევე საქო-
ნიაო.

ამას კიდევ ერთი თამაში მოჰყვა.
ბაგშვები კალათიდან იღებენ ბოსტ-
ნეულს და ხილს, ასახელებენ მათ მრა-
ვალსახეობას და ფერებს, ამ თამაშ-
ში, მიუხედავად იმისა, რომ ეს ბაგის
ჯუფი გახლდათ, მაინც აქტიურობით
გამოიჩინეოდნენ ბაგშვები. ზოგადად,
ალსაზრდელთა ჩატულობა გლეხის
ფორმებში იყო გადაწყვეტილი: - ბიჭუ-
ნებს ეცვათ განიერი, გლეხური შარ-
ვლები, ნაქსოვი წინდები, ძველი პე-
რანგები და თავზე თუშური ქუდები
ეხურათ. გოგონებს წითელი და ლურ-
ჯი წინსაფრები ეკეთათ, ისეთივე თა-
ვისაფრები წაეკრათ. ლია გაკეთილი
მხატვრული ლონისძიებით გაგრძელ-
და, ბაგშვებმა პატარა ბეკეკოს უმლე-



A black and white photograph capturing a classroom scene. A group of approximately 15 children, mostly young boys, are seated at several round tables arranged in a semi-circle. They are all looking towards the left side of the frame with focused attention. In the lower-left foreground, the back of a teacher's head and shoulders are visible; she has dark hair and wears glasses. The room has light-colored walls. On the upper left wall, there is a large, white, cartoon-style sticker of a cat. To the right of the children, there is a play area featuring a large, striped, circus-style tent and some shelving units containing various items like books or toys.

რომელსაც ახლა უკვე აღსაზრდელებდა უნდა უპასუხონ, თუ წელიწადის რა დროა ახლა და რატომ ჩნდება ხევბზე ფერად-ფერადი ფოთლები?! პე-დაგოგი ხეზე დაკიდებულ თითოეული ფოთლის ფერს ეკითხება ბავშვებს და როდესაც ისინი პასუხობენ, ყვითელი, მწვანე, ნითელი, ყავისფერი, მაშინ ია მასწავლებელი მაკრატლით აჭრის ხეს იმ ფოთლს, რომლის ფერიც პატარებდა უკვე ამოიცნეს. აღმოჩნდა, რომ ხე ვაშლის ყოფილა, რადგან სულ მაღლა, ხეზე ვაშლის ნაყოფი შემორჩენილა. ხის სულ მაღლა ადგილს რა პერია ბავშვები?-კენწერო!-პასუხობენ პატარები და ასე თამაშ-თამაშით გვიყვებიან იმას, რაც პედაგოგს უსწავლებია მათვის. შემდეგ ხე მთლიანად შიშვლდება და სუსსიანი ზამთარიც კარს

ეს, შეძლებისდაგვარად შეასრულეს ცეკვები, სიმღერები და ნარმოთქვეს ლექსები. ეს დღე ამ პატარებისთის, შესაძლოა, დასამახსოვრებელი არ აღმოჩნდეს, რადგან ისინი ძალიან პატარები არიან, თუმცა, ეს დღე და-ამახსოვრდებათ მათ დედებს, ბებიებს და პატებს, რადგან ამ დღით ყველაზე მეტად მათი გულები ღელავდნენ და ხარობდნენ.

სოფელ სამრეკლოში ჩატარებულ ღონისძიებას სკოლამდელი და სკო-ლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრიადან ესწრებოდნენ ცენტრის დირექტორი მაას ხუმარაშვილი და სპეციალისტები ნინო კვინინაშვილი და მაას ცოგოშვილი, რომლებმაც პედაგოგ ია გელაშვილის მიერ ჩატარებულ გაკეთილს დადგითა შეფასება მისჯას.



იმავე დღეს ჩვენ
გადმოვინაცვლეთ
დედოფლისნუაროს
N 3 ბაგა-ბალში, სა-
დაც ჩვენი მასპინძე-
ლი გახლდათ ბალის
დირექტორი მაია
ფოცხვერაშვილი. აქ
5-6 წლიან ბავშვთა
ჯუფში (პედაგოგი
ხათუნა ალექსიშვი-
ლი) ღია გაკვეთილი
ჩაატარა მუსიკის
პედაგოგმა ხათუნა
ჯანაშვილმა. პედა-
გოგმა ძალიან საინ-
ტერესოდ და ორი-
გინალურად აუხსნა
ბავშვებს შვიდი მუ-
სიკალური ბგერა,
შემდეგ მუსიკალური

ნოტები გააიგივა ბა-
კვებებისთვის ყველაზე
ცის მოვლენასთან,- ც
რომელიც ასევე შვიდ
გამოიჩინევა. პედაგო-
ნოტი ცისარტყელის
და ბაკვებს 5 სანო-
დი სხვადასხვა ფერი
მიამაგრებინა. შემდე-
პოზიტორებმა, რომლ-
ჩანაწერი გააკეთეს, ს
თან შვიდ ფერში ქად-
ტული ცისარტყელაც
ამავე თემაზე სიმღე-
ლეს. პროგრამა საინტ-
რული აღმოჩნდა, რან-
და დამსწრე საზოგად-
დამისახურა. ლია გა-
მზრდელო ცენტრის
და სპეციალისტების
დნენ დედოფლისწყარ-
ოის და N 1 ბაგა-ბარ-
რები და მუსიკის პედ-

სადაც ჰიგიენური ნორმის ყველა სტან-
დარტს იცავნ და უფრო მეტიც, ჩევნს
ბაღებს ახლა უკვე სერთიფიცირებული
მზარეულები ჰყავს, რომლებმაც გადა-
მზადება გაიარეს ყველა შესაბამის სა-
კითხზე, რაც საჭმლის მომზადებას და
სამზარეულოს სისუფთავეს შეეხება.

კუუყურებ ამ ყველაფერს და მახსენ-
დება, ზუსტად ცხრა წლის წინ, ჩემი
ჟურნალისტური მოვალეობიდან გა-
მომდინარე, მე მოვითხოვე რაიონის
ბაღების შემონმება, გუშინდელ დღე-
სავით მახსოვეს, თუ რა სიტუაცია
დამხვდა ამ ბაღში. მე თან მახლდა
სანიტარული სამსახურის და ზედამხე-
დველობის სამსახურის თანამშრომელი
(პეტრე მამულაშვილის ორგანიზაციი-
დან) მან ზუსტად ოცამდე დარღვევა
აღმოაჩინა ამ ბაღში და რაიონის სხვა
ბაღებშიც, რომელი დარღვევებიც
მე ჩვენი და რეგიონალური გაზეთის
ფურცლებზე გავახმაურე. მახსენდე-
ბა, თუ როგორი გაზექურები, როგო-



N 3 ბაგა-ბალში ჩვენი ვიზიტი მნიშვნელოვანი გახლდათ იმ კუთხითაც, რომ ჩვენ გადავიტიქეთ სამზარეულოში არსებულ დეზობარიერს, ჩავიტყოთ შესაპამისი დეზინფექციური სამოსი და დავათვალიერეთ სამზარეულოს სათავსოები, კონტეინერები და დაცვესნარით შეუძლის სადილის მომზადების პროცესს. მინდა გამოგიტყდეთ, რომ სამზარეულოში ჩემს მიერ ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და თამამად შემიძლია ვთქავა, რომ ჩვენი ბაგა-ბალების სამზარეულოები თავისი აღჭურვილობით და ყველა ნორმის დაცვით თანამედროვე სტანდარტებს შეესაბამება. ახალი გაზიურები, გამწვევები, მაღალი ხარისხის ქვაბები, ტაფები, ყველაფრისობური სათითაოდ დიდი კონტეინერები, მაცივრები, ჩაიდნები ამშვენებდა ბალის სამზარეულოს,

შემოდგრმის ზეით სამრეკლოს საბავშვო პალატი...

მიიღურა შემოდგომა, დე-
დოფლისცაროს საბავშვო ბა-
ლებში შემოდგომის ფესტივა-
ლიც დასასრულს უახლოვდება. 18
ნოემბერს სამრეკლოს სა-
ბავშვო ბალის 4-5 წლიანთა
ჯგუფის შემოდგომის ზემს

ენვიეთ. მხიარული განწყობა,
ფუსფუსი, მშობლებისა და პე-
დაგოგების მოლოდინი- როგორ
დამთავრდება ყველაფერი, ეს
უკვე ძალიან დიდი ხნის რეა-
ლობაა საბავშვო ბალებისათვის,
მითუმეტეს საზეიმო დღეებში....



ნინო სესიტაშვილ-თანაშემწენე ნათელა გონაშვილ-თან ერთად კიდევ ერთი, ლა-მაზი ლონისძიება მოექმნადები-ნათ, მათ ერთობლივ მუშაობაში გვერდში ედგნენ საბავშვო ბა-ლის დირექტორი მაკა ზურაშ-ვილი, მუსიკის მასწავლებელი მაია ლევაპაშვილი და ჯგუფის ძირი ირინა აბაშიძე. ულამაზეს კოსტიუმებში გამოწყობილი პატარები ერთმანეთს ეჯიბრე-ბოდნენ ლამაზად ლექსის თქ-მაში, ცეკვასა თუ სიმღერაში, თემატურად შერჩეული ინსცე-ნირებების მოწყობაში. ეზო-ში თათარა თუხთუხებდა, პა-ტარებს ერთი სული ჰქონდათ, როდის დამთავრდებოდა ზემით, რომ ჩურჩხელები ამოევლოთ, ისინი ხომ ამით არა მხოლოდ ერთად, ჯგუფურ შრომას სწავ-ლობენ, არამედ, მათ მიერ მოგროვილი გირჩების ნაკვერ-ჩხალზე მოდულებული თათარის უფროსებისადმი განაწილებას, მათ პატივისცემას და კიდევ უამრავ ისეთ თვისებას, რასაც



ერთი შეხედვით ადამიანის თვა- მაში უნდა დაეხმაროს

ლონისძებას ესწრებოდნენ სკოლამდელი აღზრდის სამსახურის თანამშრომლები, პედაგოგები, მშობლები და სხვა მომვეული სტუმრები.

ელექტრონული სამართლი

დეპარტამენტი-კომპიუტერი და ჩვენი სამყარო

ამ ბილი დროს ადამიანები ძალით ბევრი თემის ირგვლივ ესუუბრივობა, ვდისკუსიონბობა და ვანანალიზებოთ ცუდს და კარგს. ესუუბრივობა ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე, ლგანლომოსილ ადამიანებზე, ყოფით ცხოვრებაზე, პრობლემებზე, ვაკრიტიკებით ამათუ იმ პოლიტიკური მოღვაწის საქმიანობას, ვისმენ მრავალმხრივ ინფორმაციის. ამ ყველაფრის პარალელურად კი, ვერც ვევდებით, რომ ჩვენს ყოვლდღიურობად იქცა კომპიუტერთან მიჯაჭულობა. ამ თვალსაზრისით სიგარეტის, ყავის, ნარკოტიკის დამოკიდებულებასთან ერთად ოცდამეტრთუ სუურის სენად შემოიჭრა და დამკიდრდა ტერმინი -ფეისბუქდანის დაფიქტურულება. რა არის ეს, რა სენია?! - ეს გახლდათ გასულ კვირას მოსწავლე -ახალგაზრდობის სახლში პედაგოგების და მომსახურე ქალბაზონების მიერ გამართული დებატების მთავარი თემა. შესვედრის წამომწყები და ორგანიზატორი გახლდათ ლვანლომისილი და დედოფლისინკაროს პედაგოგთა პროფესიული კავშირის ხელმძღვანელი, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის პედაგოგი მაყვალა მაძლარაშვილი და აქვე იმ გამოკითხვის შედეგებს გვიჩვნობს, რომელიც მისმა მოსწავლეებმა მისი დაგენერაციით რაიონის მოსახლეობაში ჩატარებული ადგენების დაწყებამდე მან 161 ადამიანთან გამოკითხვის შედეგები გამოაცხადა. აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა 32% ამ კითხვაზე პასუხს თავი აარიდა, დანარჩენი 68% იდან აქვს თუ არა კომპიუტერი - 65% მა განაცხადა რომ აქვს, 23%-ს არ აინტერესებს საერთოდ, 41 % დადებითად აფასებს კომპიუტერის ჩვენს სამყაროში შემოისვლას, ხოლო 38% უარყოფითად, 72 % გართობისთვის იყენებს კომპიუტერს, 22% - საქმისთვის. კომპიუტერის გამოყენებას დადებითად აფასებს გამოკითხულთა 41 %, უარყოფითად - 38%.

თანამედროვე ტექნოლოგიები შორს მიინებს, კომპიუტერმა მთლიანად შეცვალა ადამიანების ცხოვრება, მათი ცხოვრების ტემპი და რიტმი, თუმცა, მისით ალტაცეპტულებმა, ვერც კი გავიგეთ, რამდენად ლრმად შემოიჭრა ის ჩვენს ცხოვრებაში და რამდენად მოგვწყვიტა მან სამყაროს, წიგნებს, მეგობრულ თავშეყრებს და

- „ერთ-ერთი ძეველი გამომოცემის თანახმად, დამწერლობა ეგვიპტულთა ღმრთის „ტოტის“ შეუქმნია და ფარაონის თვის უთქვამს, ამით კაცთა მოდგმას დაგამასხვოვრებ იმსას, რაც შეიძლება დაავიწყდეთ, ფარაონი შეფიოთებულა, სამაგიეროდ, მექსიერებას მოკლავთო, ფარაონის ვარაუდი არ გამართლდა, მექსიერება დამწერლობამ ვერ მოკლა. ახლა რომ ეცხოვრა იმ ფარაონს, იგი მექსიერების მტრად დამწერლობას კი არა, კომპიუტერს დაასახელებდა და წიგნის გადარჩენაზე იფიქრდება. ხშირად იმის კითხვა: წიგნი, თუ კომპიუტერი? ვფიქრობ, სწორი პასუხი იქნება წიგნი და კომპიუტერი. ჩემი აზრით, კომპიუტერი და ინტერნეტი ერთ-ერთი საუკეთესო გამოგონებაა, რაც კი ადამიანს შეუქმნია. ამიტომაც გახდა იგი ადამიანის განუყოფელი ნაწილი. მთავარია, ადამიანმა შეძლოს და კომპიუტერი და ინტერნეტი სასარგებლოდ გამოიყენოს, მაგრამ, ამავდროულად მისი ნეგატიური მოქმედებებისგან დაიცვას თავი, თავისი შეილები და ყველა მისი გარშემომყოფი ადამიანი” - ამბობს შეხვედრის დასაწყისში ქალბატონი, უკავშირის მეტყველებს, ბეჭრად ხმამაღლლა კი ის გამონათვებაში უდრეოს, რაც რესპონდენტებმა მოსსავლეებთან დაუფარავდ აღნიშნეს, - „კომპიუტერი არის ემბაკული რაღაც, ჯალიერობა, რომელიც, არც ვიცი, არც მაინტერესებს და არც არასდროს დავინტერესდები”, - ეს გამოკითხული ადამიანებიდან ერთ-ერთს განუცხადება, რაც ჩემთვის ყურადსალები გახდა. ადამიანი, რომლის ნათევამდე თითქოსდა ირონია გამოიწვია, ამავე დროს დაგვაფიქრა. დიახ, იმ ადამიანს, რომელმაც არც იცის და არც არასდროს დანერგულება კომპიუტერით, ბედნიერია იმით, რომ ფეისბუქდამოკიდებულება არ შეეყრდნა, მაგრამ ამავე დროს უბედურიც იქნება, რადგან კომპიუტერის გარეშე ხომ ძალიან ებნელება მის სამყაროში?! - ეს რა თქმა უნდა, ძალიან გაზიადებულია, მაგრამ მაინც არის რაღაც მასში სიმართლის მარცვალი.

დღებატებში გამოიკვეთა ორი
მთავარი - ადამიანებისთვის კომ-
პიუტერის მიერ მოტანილი სიკე-
თე და ბორიტება. მაგიდის თა-
თოეულმა წევრმა მაგალითების
მოყვანით ახსნა და მოყვა რამ-
დენიმე ფაქტი, რაშიც მას ხელს
უძლიდა ან პირიქით, ემარჯებოდა
ინტერნეტი. აღმოჩნდა, რომ ინ-
ტერნეტი საშუალებას გვაძლევს
მოვიძიოთ ინფორმაცია, ნების-
მიერ საკითხზე, დაუკავშირდეთ
მეგობრებს, ფაქსზე და ფოსტაზე
სწრაფად, ნამებმი გადავაგზავნოთ
ნერილი, ან საბუთი, დაუკავშირ-
დეთ დიდი ხნის უნახვა მეგობრებს
და საზღვრარეთ ნასულ ნათე-
სავებს სკაიპით. გავიგოთ ის, თუ
რა ხდება მსოფლიოში, გავიგოთ
ამინდის პროგნოზი, დავათვა-
ლიეროთ ის ფოტოები, როლებიც
ასახავს იმ ცხოვრებისულ მო-
მენტს, თუ რა ხდება მეგობრის
ცხოვრებში, თავისუფლად გამო-
ვთქვათ აზრი ამა თუ იმ მოვლენა-
ზე. ასე უკავშირდეთ.

დროის ფასს, თუმცა, ეს ვის როგორ ესმის, იმაზეა დამოკიდებული. რამდენადაც კომპიუტერი და ინტერნეტი დროს გვიზოგავს, იმდენადვე გვართმევს მას, რადგან მასზე დამოკიდებული ვხდებთ, თუ არ დავთვალიერეთ ვისთან რა ხდება, რომელი საინფორმაციო რა სკანდალზეა იმ დღით ორიენტირებული და რომელი პირი რა ფოტოს დებს, უკვე ველარ წარმოგებიდებინა ის დღე. ამ ყოველივეს ნახვა კი საკმაო დროს იტაცებს, ისე, რომ საათები როგორ გარჩიან, ვერც ვიგებთ.

რაც შეეხება უარყოფითს. დადგენილია, რომ კომპიუტერი განვითარება და გამოიყენება მრავალ და მრავალ მიზანთა სამართლის თემაც გახდეს.

აზიანებს თვალს, მტურუ სისტემას და აქვეითებს მადას ბავშვებში. საერთოდ შლის ფუნქციას. დღე-ვადელი ბავშვების ძალან დოდი პროცენტი ინტერნეტთამაშებითაა მონაცემული, რაც მათში აგრესიას საერთობლად ზრდის, ასევე დამანგრევლად მოქმედის მათ

ინტერნეტს რამდენადაც ადამიანებისთვის სიკეთე მოაქვს, იმდენად უარყოფითი ფაქტორებიც ახლავს, ამიტომ დებატების შედეგად პროცენტული ქულები ინტერნეტსიკეთესა და ინტერნეტბოროგებას შორის ასე გადანილდა - 50% -50% -ზე.



აქვს თუ არა კოოპერაციულ გაერთიანებებს მომავალი?

ფერმერული მეურნეობებისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციების ხელშეწყობის მიზნით, არასამთავრობო ორგანიზაცია „მერსი ქორფსი“ პროექტების კონკურსს ატარებს. კოოპერაციული კონკურსში მონაწილეთა აპლიკაციების მიღება ნოემბრის ბოლოს დასრულდება.

პროგრამის ფარგლებში, ქვეყნის მასშტაბით 70 ფერმერული გაერთიანება შეირჩევა. დღეისათვის დაფინანსებულია 40-მდე პროექტი. დედოფლისწყაროელ ფერმერებს კონკურსში მონაწილეობის საშუალება პირველად მიეცათ.

პროექტით დაინტერესებულ ჯგუფებს „მერსი ქორფსის“ ნარმომადგენლები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში შეხვდნენ და მათთვის საინტერესო შეკითხვებს უპასუხეს. შეხვედრას მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები და ადგილობრივი ფერმერები ესწრებოდნენ.

დედოფლისწყაროს გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი დაინტერესდა, რატომ შემოუერთდა დედოფლისწყარო კონკურსს მხოლოდ მეოთხე ეტაზზე და რატომ არ გამართეს დონორებმა მსგავსი შეხვედრები ამ რაონში მანამდე. მითუმეტეს, რომ დედოფლისწყარო სასოფლო-სამეურნეო მუნიციპალიტეტია. აღინიშნა, რომ პროექტის პრეზენტაციები და საკონსულტაციი შეხვედრები ჯერ სხვა რეგიონში გაიმართა და შემდეგ კახეთის რეგიონში. გამგებელმაც სწორედ ამიტომ დააფიქსირა უკანასკნელი დღე.

საკურეულოს თავმჯდომარის მოადგილე ნუებარ პაპაშვილი კი იმის გარკვევას ეცადა, რა ბერკეტი არსებობს სამისოდ, რომ

ქმედითუნარიანი კოოპერაციები სახელდახელოდ შექმნილი კოოპერატივებისგან განსახვაობისა და სასურველი შეარჩიონ.

პროექტების კონკურსის აქტიური მხარდამჭერია საქართველოს საოფლოს სოფლის მეურნეობის მინისტრი, რომ მას კოოპერაციი ჯერ არ აქვს, თუმცა შეხვედრა საინტერესო იყო, მისაღები წინადაღები გაუღერდა და მუშაობა დღნდს. კადვე ერთი ფერმერი მოგზი კი ამბობს, რომ სხვა რაონებისგან განსხვავებით, ამ დრომდე დედოფლისწყაროელ ფერმერებს არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერა არ უგრძენიათ.

„ხალან საინტერესო შეხვედრა იყო, რადგან მიმართა, რომ სოფლის მეურნეობის გაძლიერება ასეთი პროექტებით ნამდვილად შესაძლებელია. აქამდე კოოპერაციი არ გვირნა და არც წევრები ვართ, მაგრამ ვუკრიო, საინტერესო იქნება შევემნათ კოოპერაციი, რას შემდეგაც დაფინანსების მოპოვება გახდება შესაძლებელი. რეალური წინადაღება მოვისმინეთ“ - აღინიშნა მასურამეტი.

„იქდან გამომდინარე, რომ სოფლის მეურნეობის კუთხით, პროექტების დამფინანსებელი არასამთავრობო სტრუქტურა დედოფლისწყაროში აქამდე არ მოექცევა და გული გვწყდებოდა, რომ ბოლო როი წილი განმაღლობაში საქართველოს სხვა რაონები ვერდავდით, როგორ გაიცე-

არასამთავრობო გარემო-გადაცემა



დედოფლისწყაროს მუნი-
ციპალიტეტის სკოლამდელი
აღზრდის დაწესებულებე-
ბს მსოფლიო ბრენდის „Lego
Toys“ სათამაშოები გადაეცათ.
საქელმოქმედო აქცია საერ-
თაშოროსო არასამთავრობო
ორგანიზაცია „Campus Lions
Club Tbilisi“ განახორციელა.
პროექტის ფარგლებში ორგა-
ნიზაციის წარმომადგენლებმა
დედოფლისწყაროს 3 საბავშ-
ვო ბაღს საბავშვო ბაგა- ბაღს
უსასყიდლოდ 20 ყუთი სათა-
მში “გადასცეს. როგორც
მისი ხელმძღვანელი რატი ქი-
რია აცხადებს, მსგავსი სახის
აქციებს ორგანიზაცია მთე-
ლი საქართველოს მასშტაბით
ახორციელებს. „ჩვენი ორგა-
ნიზაცია საქართველოს ყველა
რეგიონს მოივლის და ქვეყნის
მასშტაბით 102 საბავშვო ბა-
გა-ბაღს უსასყიდლოდ დაუ-
რიგებს სათამაშოებს. ეს არის
ლეგოს კონსტრუქციის სათა-
მშიები, კარგად მიქმედებს
ბავშვის გონიერა-განვითარე-
ბაზე, არის ეკოლოგიურად
ჯანსაღი, არ არის შეღებილი
და არ ვნებს ბავშვის ჯანმრ-
თელობას“ - აცხადებს კამპუს
ლეგოს კლუბი თბილისის
პრეზიდენტი რატი ქირია.
კახეთის რეგიონში მათ სხვა
რაიონის საბავშვო ბაღებსაც
გაუკეთეს მსგავსი საჩუქარი.
საბავშვო ბაღების აღსა-
ზრდელები ძალიან გაახარა
ახალი სათამაშოების მიღე-
ბამ. ააი „დედოფლისწყაროს
მუნიციპალიტეტის სკოლა-
მდელი აღზრდის სამსახუ-
რის“ ხელმძღვანელს მაია
ყოჩიაშვილს სურვილი აქვს,
ყველა დედოფლისწყაროელ
აღსაზრდელს ჰქონდეს მსგა-
ვის სათამაშო. „მინდა, ყვე-
ლა ბაღი მოიცვას მსგავმა
აქციამ. ჩვენ ველაპარაკეთ
ბატონ რატის და ის დაგვ-
პირდა, რომ მსგავსი სახის
აქციონებს მომავალშიც
განახორციელებს“ - აღნიშნა
მაია ყოჩიაშვილმა.



ულოცავები!

ლალი იაკობიშვილის!

ვაჟა ჩირქაზიშვილის!



გულწრფელად გვიხარია თქვენი შვი-
ლების მორჩიეს და თავის ბეჭინერება. ახლადშეუდებულებს უსურვებთ ჯანმრ-
თელობას, გამრავლებას. ვისურვებთ მსუბუ-
ქად ეტარებინოთ მეუღლეობის არცოუ
მსუბუქი ულეოლი და ღრმა სიბერემდე გაჰ-
ყოლოდეთ ის სიყვარული, რომელმაც მათი
სავალი გზები შეართა.

თქვენ კი, კალთა აგეესოთ თვალსატულა
შეილიშვილებით.

ქ. დედოფლისწყაროს №2
საჯარო სკოლის აედვოლებით და
აღმინისტრაცია.

შეკიპრი კუნძული საფეხი

2015 წლის 7-8 ნოემბერს ქ. თბილისში
გაიმართა საქართველოს თასის პირველი კუნძული-
სანდაზი, სადაც მონაწილეობა
მიმღები დედოფლისწყაროს რეგიონალური
ფედერაციის გუნდმა, კლუბმა „ლეგოინმა“. მონაწილე ექვსის სპორტსმენიდან ექვსივე მოხ-
ვდა ფინალში, მათ პირველი ორი შეხვერდა
ნარჩოტებით გადალახეს, მაგრამ ფინალში
მხოლოდ ერთმა სპორტსმენმა, 15 წლის ლე-
ვან ლაშნიშვილმა შეინარჩუნა გამრჯვება,
დანარჩენ 5 სპორტსმენის ბორნდარენიკი ვოვა,
ქიზაშვილი ნუკრი, გავაშლიშვილი იოთარი,
გუსეინოვი თაშახანი და შამიაშვილი ნიკო-
ლოზი მერიე ადგილზე გავიდნენ.

ამ მიმე შეჯაბრიდან 4-5 დღის შემდეგ
უფრო საპასუხისმგებლო შეჯიბრი ჩატარდა
კავკასიის პირველი ბერძოლში და პირძო-
ლა წესების გარეშეში (MMA), სადაც მონაწი-
ლეობდნენ ირანის, აზერბაიჯანის, სომხეთის

და საქართველოს ნაკრები გუნდები.

ჩვენმა სპორტსმენებმა აქცი იგივე ტრიუმ-
ფით გადალახეს ბარიერი და ფინალში გავიდ-
ნენ, მაგრამ ფინალში კვლავ დაკარგეს გამარ-
ჯვება და მეორე ადგილზე დაბრუნდნენ. აღსანიშნავია, რომ ამ შეჯიბრში მონაწილეობ-
და 7 წლის შაინძე გომრგი, ხოლო დანარჩენი
შემადგენლობა იგივე იყო. ფინასურუ პრო-
ბლემების გამო ექვსი ძლიერი მოთამაშე გაე-
თიშა თამაშს და ვერ მიიღო მონაწილეობა.

ფედერაციის ხელძღვანელობა მომავალ-
ში მეტ ყურადღებას მოელის მუნიციპალი-
ტეტის გამგებისა და მშობლებისგან, რათა
გაუმჯობესდეს მათი მუშაობა და პირბები,
ხოლო გულშემატკიცვებს მაღლობას უზდის
განეული თანადგომისათვის.

კლუბ „ლეგოინის“ ხელმძღვანელი
მიხეილ სეჩინაშვილი.

იყიდება!

იყიდება კერძო
კაპიტალური აგურის
სახლი ბელეტაუზე
ორი აიგნით და მაღა-
ლქერიანი სარდაფე-
ბით. საერთო ფართი
არის 1300 კვ.მ და
სახლის ფართი 140
კვ.მ. მისამართი: 9
ძმის ქუჩა.

577 22 32 19.

ფასი 20 000\$.
იკითხეთ ლევან
იაკობიშვილი.

კ ა ი ნ დ ი	
ორგანიზაცია 23.11 დღე ღამე	სამშეგათი 24.11 დღე ღამე
8 °	5 °

დ ე კ დ ი	ო რ ი ს ფ ი რ ი	ც ე რ ი ს ფ ი რ ი	პ ა რ ი ს ფ ი რ ი	შ ა გ ა თ ი	კ ვ ი რ ი
ოთხშაბათი 25.11 დღე ღამე	სამშეგათი 26.11 დღე ღამე	ცუთუშაბათი 27.11 დღე ღამე	პარასკევი 28.11 დღე ღამე	შაბათი 29.11 დღე ღამე	
8 °	7 °	9 °	8 °	10 °	7 °

გამომცემელი შპს „პირაი“
დირექტორი ინგ შიომლია
რედაქტორი ნიკა გორგაშვილი
შერიცხვი მოყვანილ ფერებსა და ცოტნებებს
ჰასუნის ავტორი.

სარგადული კოლეგა: ღამი მერი ილია გოგიაშვილი (უკრაინალიტები);
მედია სარგადული (სტრილისტ-მენეჯერი); ნიზა ჭავჭავაძე (ბულეტენი); ნიზა ჭავჭავაძე
(ფოტო-მენეჯერი); მზად მარიამ (დისტრიბუტორი); ზურაბ გარეშეში (კომისიუსეული უზრუნველყოფა).
გაზიარებული და დაკაბინდნა „შიორაის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
კოველკვირული გამოცემა იმპრენდა შ.ა.ს. „სამშეგლოს“ სტამბაში.

რძიანის მისამართი: ქადაგის დაბადების უზრუნველყოფა
ქადაგის ფინანსის სამსახური, ქადაგის სამსახური
ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (კორპუსი) 591-97-73-26 (რედაქტორი)
მისამართი: №6014-468.